

სსდავუდ

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

სს„დაფუდ“

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლოგვერდი	10

სს„დავუდ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათას
ლარებში

	შენიშვნები	31დეკემბერი2024	31დეკემბერი2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	148	4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	17	17
გადახდილი ავანსები	5	31	1
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		196	20
გრძელვადიან აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	11,616	11,399
არამატერიალური აქტივები		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		979	1,192
სულ გრძელვადი აქტივები		12,595	12,591
სულ აქტივები		12,791	12,613
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		43	60
მიღებული ავანსები		10	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	2097	1,988
საგადასახადო ვალდებულებები		19	25
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,169	2,073
სულ ვალდებულებები		2,169	2,073
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		13,023	13,023
გაუნაწილებელი მოგება		(2,401)	(2,483)
სულ საკუთარი კაპიტალი		10,622	10,540
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,791	12,613

ხელმოწერილი: დირექტორი

 **DAVUD**



სს„დავუდ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	9	885	952
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	-
სერთიფიკატები		885	952
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(535)	(483)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(168)	(12)
საპროცენტო ხარჯები		(146)	(155)
საოპერაციო მოგება		36	302
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1	76
ნეტოკურსთა შორის სხვაობა		136	3
ქონების გადასახადის ხარჯი		(91)	(90)
მოგება (ზარალი) დაბეგრამდე		82	291
მოგების გადასახადი სხარჯი		(0)	(0)
წმინდა ზარალი/მოგება		82	291

ხელმოწერილი: დირექტორი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „დავუდ“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 404438417), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2013 წლის 1 მარტიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად, რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ხეთაგუროვის ქ #36.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი-ზურაბკუბლაშვილი.

სს „დავუდ“-ის საქმიანობას 2016 წლამდე წარმოადგენდა საბანკო საქმიანობა. 2016 წლიდან მოყოლებული კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთრებაში არსებული კომერციული ფართების იჯარით გაცემა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროს სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
1USD/GEL	2,8068	2.6894
1EUR/GEL	2,9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით დაფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRSforSME) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

სს„დავუდ“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2023 და 2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმო სდაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ანმსგავსიმარაგებისჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ანმსგავსიმარაგებისჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში- პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა	2%
სატრანსპორტო საშუალებები	10%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	15-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინაღიარდება ყოველითვის ბოლორიცხვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სს„დავუდ“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაწილდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღის ათვისარსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	143	2
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5	2
სულ ფულადი სახსრები	148	4

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	17	17
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	17

5. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსები	31	1
სულ გადახდილი ავანსები	31	1

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა მარაგი	-	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	-

სს„დავუდ“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვაძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	2,456	8,400	700	194	1,536	13,286
შეძენა	-	-	-	-	286	286
31 დეკემბერი 2024	2,456	8,400	700	194	1,822	13,572
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2023	-	275	699	152	762	1,888
ცვეთა	-	-	-	19	49	68
31 დეკემბერი 2024	-	275	699	171	811	1,956
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	2,456	8,125	1	42	774	11,398
31 დეკემბერი 2024	2,456	8,125	1	23	1011	11,616

8. სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე სესხის ძირითადი თანხა	1,540	1571
მიმდინარე სესხის პროცენტი	557	417
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება	2097	1988

9. ამონაგები

ამონაგები	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	882	943
საპროცენტო შემოსავლები	2	9
ამონაგები	885	952

10. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სხვა ხარჯი	33	66
ცვითის ხარჯი	69	38
ხელფასის ხარჯი	269	243
მიმდინარე რემონტის ხარჯი	27	26
კომუნალურის ხარჯი	127	98
დაზღვევის ხარჯი	10	12
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	535	483

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არდაფიქსირებულა.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 24 სექტემბერი